



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 6

2017 წლის 21 თებერვალი

ქ.დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთათვის მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და საწვავის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთათვის მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და საწვავის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 იანვრის N4 განკარგულებაში. კერძოდ:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთათვის მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და საწვავის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“.

ბ) განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ დანართი N1

N	სტრუქტურული ერთეულის/თანამდებობის დასახელება	საწვავი (ბენზინი/დიზელი, ლიტრი)	მობილური კავშირგაბმულობის ხარჯი
1	საკრებულოს თამჯდომარე	470	50
2	საკრებულოს თამჯდომარის მოადგილე	100	40

3	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	100	
4	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	80	
5	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე	80	
6	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	80	
7	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე	80	
8	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	150	
9	ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე	80	
10	ფრაქცია „არაგველების“ თავმჯდომარე	80	
11	ფრაქცია „დუშეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე	80	
12	ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	80	
13	ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე	80	
	სულ	1540	90

»

გ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გამგეობის მოსამსახურეთათვის მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და საწვავის ლიმიტები განსაზღვრულია გამგეობის 2017 წლის 17 იანვრის N175/ს ბრძანებით“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი